-განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომის
N142 ოქმის ამონაწერი

2020 წლის 7 სექტემბერი 12 .30 საათი
საქართველოს პარლამენტი
კომიტეტის სათათბირო ოთახი N238

სხდომას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილი,, სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები: ქანთარია ალექსანდრე, მაღრაძე გუგული, პაპუაშვილი ზაზა, რატი იონათამაშვილი (ადგილმონაცვლე)- ჭკუასელი თეიმურაზი, გურამ მაჭარაშვილი (ადგილმონაცვლე)- ჭიჭინაძე გივი, ნოზაძე სიმონი, ჩუგოშვილი თამარი, ჟორჟოლიანი გია, ბესელია ეკა, ქებურია ლელა, რატიანი სერგო, აპარატის წევრები და მასმედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგი

7 სექტემბერი 12.30 საათზე
საქართველოს პარლამენტი
კომიტეტის სათათბირო ოთახი N238

1. განათლების , მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ინიცირება.

მომხსენებელი : განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილი

1. მოისმინეს: განათლების , მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ . კანონპრეოქტი კომიტეტის წევრებს სხდომაზე გააცნო კომიტეტის თავმჯდომარე გენადი მარგველაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, როკმ კანონპროექტის მიხედვით სკოლა ვალდებული იქნება უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით „ზოგადი განათლების შეასხებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატება „ც[2]“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრი დაამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო პერსონალის სტანდარტს.

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს (მათ შორის 300მდე კერძო) სკოლაში სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებას.

კომიტეტის წევრებმა აღნიშნულ ცვლი;ლებასთან დაკავშირებისთ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები. ისინი მიესალმნე იდეას და აღნისნეს, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია დღევანდელ ვიტარებასთან მიმართებაშიც.

1.კომიტეტმა გადაწყვიტა: კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კანონპროექტის ინიცირებას.

სხდომის თავმჯდომარე **გენადი მარგველაშვილი**

სხდომის მდივანი **ლალი ლორია**